კვირა, 28 აგვისტო, 1916 წ. | რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6. | ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშმაკვიკ მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 35

F644

„თელავის გიმნაზიაში მეშვიდე კლასი აგებია ნაბიჯნაბიჯ“. (გაზეთებიდან)

— რა საჭიროა თელავში მეშვიდე კლასი? ანაბანა ხომ ისწავლეთ და გეყოთ.. ახლა თავისუფალი ხართ, გაისეირნეთ საითაც მოგეხალისოთ.

საქართველოს სსრ. ეროვნული ბიბლიოთეკა

თფილისი, 28 აგვისტო 1916 წ.

თანამედროვე ვითარება. თანამედროვე ვითარება უფრო გართულდა. რუმინიამ ნეიტრალიტეტი დაარღვია და ავსტრიან-უნგრეთს ომი გამოუცხადა. ამრიგად ბრძოლის პირი დობრუჯაში ზღვას მიეჯინა და სამხრეთით ნაწილში ჩრდილოეთით შემოიღრიცა.

აშკარაა დღეს თუ ხვალ ომის სასწორი ამა თუ იმ მხარეს უნდა გადაიხაროს და ეს თითქმის სრულიად იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი მხარე გიმარჯვებს.

ჩვენ საალაბედო მსჯელობა უბრალო საკითხებშიაც არ გვიყვარს, ხოლო ომის დროს ჭეშმარიტების ამბაჩით აგდება დაუსჯელათ არ ჩაუვლის იმ მხარეს, რომელიც ასე უდიერათ მოექცევა სტრატეგიას. საჭიროა განხილულ იქმნას ყოველი შესაძლებლობა, რომელსაც კი შეიძლება ადგილი დაურჩეს ომის ბედის სასწორის ქანაობის დროს და დასკვნა დაე თვით მკითხველმა გამოიყვანოს.

აშკარაა, ომის ბედი ან ზღვაზე, ან ჰაერში და ან ხმელეთზე უნდა გადაწყდეს. და რომ ეს ასეა, ამაში ეჭვი არ შეაქვს არცერთ თანამედროვე სამხედრო მიმოხილველს. ყოველ შემთხვევაში სიმართლეს ამ შეხედულებისას მომავალი დაგვანახვებს.

აშკარაა ისიც, რომ იბრძვის ორი მხარე, რომელთაგან გამარჯვება ერთ-ერთს უნდა დარჩეს. თუ რუსეთ-საფრანგეთის კოალიცია მოახერხებს გერმანიის მილიტარიზმის შემუსვრას და მის ნანგრევებზე ერთა თავისუფლების აღმოცენებას, ცენტრალურ სახელმწიფოთა კავშირი დამარცხებულათ ჩაითვლება. ხოლო, თუ გერმანიამ სძლია ინგლის-საფრანგეთსა და იტალიას, მოკავშირეთა საქმე წაგებულათ ჩაითვლება. ყოველ შემთხვევაში ამას მომავალი გვიჩვენებს.

როგორ შეიძლება მოხდეს ესა, თუ ის ვარიაცია ომის მსვლელობისა? აი როგორ:

შეიძლება ჩვენმა არმიამ გადალახოს დვინის ხაზი, უკუაქციოს გერმანელთა ჯარი და შეიპრას აღმოსავ. პრუსიაში, საიდანაც თურმე რკინის გზა მიდის ბერლინამდე. ამავე დროს ჩვენმა ფლოტმა უნდა დაიფაროს მოერიოს არმიის მარჯვენა წვეტი შემოვლისაგან. ცხადია მარტო მარჯვენა წვეტი ვერ შეიპრება ასე შორს, თუ მას არ მიჰყვა ცენტრი კოველ-ბარანოვიჩის ხაზზე და ცენტრს მხარი არ მისცა მარცხენა ფრთამ. ამ მოულოდნელი თავდასხმისაგან გულ-გახეთქილი გერმანელები ეცდებიან გამაგრებას მხოლოდ რეინის ნაპირებზე, თუ ფრანგთა მოხერხებულმა ეერიშმა ამაში ხელი შეუშალა.

ეს შეხედულობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, შესაძლებლობა არც ისე ფანტასტიურია, თუ ჩვენმა ჯარმა შესძლო მისი დაგვირგვინება. ყოველ შემთხვევაში მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენათ მართალია ჩვენი შეხედულობა ამ საგნის შესახებ.

მაგრამ შეიძლება თვით გერმანიამ მოიტანოს იერიში კოველ-ბარანოვიჩის ხაზზე და გაარღვიოს ჩვენი ცენტრი. ამ შემთხვევაში მას გზა გაეხსნება აღმოსავლეთისაკენ და ჩვენ იძულებული ვიქნებით უკან დავიხიოთ წინასწარ მომზადებულ პოზიციაზე. თუ ეს შემოკრა დემონსტრაციაა არ დარჩა და მტერმა განვითარა წინსვლა, ჩვენი მარცხენა ფრთა ბრძოლის პირის გამოსასწორებლათ იძულებული იქნება აღმოსავლეთით დაექანოს და დუნაის შესართავს მიეჯინოს.

ამავე დროს გერმანელთა მარჯვენა ფრთას შეუძლია დვინა გადალახოს დვინსკის ხაზით და ზურგით მოექცეს ქ. დვინსკის გამაგრებულ რაიონს. ცხადია ასეთი ვითარება უფრო ხელსაყრელი იქნება ჩვენი მტრებისათვის.

ყოველ შემთხვევაში ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენათ შესაძლებელია საქმის ასე, თუ ისე დატრიალება.

პატარა ფელეტონი

ტრამვაის საკითხი

მუხლი 2

ვინ უნდა სცემდეს კონდუქტორებს?

ეს საკითხი, როგორც წინა წერილში მოვიხსენიე, ხანგრძლივ კამათის საგნათ იქცა. საქმე გაართულა საქალაქო დებულებებში შესაფერი მუხლის უქონლობამ. მართლაც, სად იყო უწინ ტრამვაი? არა თუ ქალაქებში, სოფლებშიაც მოკლებულნი იყვნენ ამ ელექტრონის ურმებს და უბრალო ხარ-კამეჩის ამარა მგზავრობდნენ. შეიძლება კიდევ ამაზე უწინ არც ხარ-კამეჩი არსებობდა და ხალხი ისედაც იოლათ გამოდიოდა, მაგრამ დღეს რაკი ტრამვაი გვაქვს მისი მოხმარაც უნდა ვიცოდეთ.

ასეა თუ ისე, ტრამვაის მოსამსახურეთა სამარ-

თლიან მოთხოვნილებას პასუხი უნდა მისცემოდა, მით უმეტეს, რომ კანონის არ ცოდნით და მით უმეტეს სრულიად არ ქონებით თავის მართლება არაფის არ შეუძლია. განა ეგრეთ წოდებული „ადათი“ იგივე კანონი არ არის? და თუ ეს ასეა ცემატეპისა და მით უმეტეს ლანძღვა-გინების ადათი ჩვენში. უკეთ შემუშავებულია, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. ამ საგნის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში საფუძვლიანი გამოკვლევებიც მოიპოება ბ-ნ გ. დიასამიძისა და ნ. კალანდაძისა.

სწორეთ ამ ჩვენს მამა-პაპეულ ადათ-წესებს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ხმოსანთა უმრავლესობამ ერთი უკვე დასრულებული ინსტრუქცია დაიმუშავა.

ჩვენ აქ არ შევეხებით ლანძღვა-გინების უფლებას, ვინაიდან ეს უცილობელი კუთვნილებაა ყოველი მოქალაქისა და განსაზღვრა სასურველიც რომ ყოფილიყო, შეუძლებელი გახდებოდა. ამგვარათ, ლანძღვით ყველას შეუძლია ტრამვაის მუშაკთა ლანძღვა, ეროვნებისა და სქესის განურჩევლად, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამ გალანძღულ მუშას სამსახურიდან მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გადაიყენებენ *). ლანძღვა-გინება, საჭიროა დავსძინოთ, შეიძლება უმიზეზოთაც.

სამაგიეროთ ცემა უმიზეზოთ არ შეიძლება და უფლებაც ამ გასართობისა ყველას ერთნაირთ არ ეკუთვნის. პოლიციელებისა, პრაპორშჩიკთა და ქალაქის გამგებელთა შესახებ ამ მხრივ კამათი არა ყოფილა. მათ, ასე ვსთქვათ, კანონი ავალებს წესრიგის დამყარებას და ვალდებულებას ვინ გაექცევა. კამათი გამოიწვია უბრალო მოქალაქეთა უფლებამ. აქეს თუ არა უფლება მაგალითად რედაქციის წარმომადგენელს, თუ გინდ, „ლისტოკისას“, სცემოს ტრამვაის კონდუქტორს... ან მაგალითად სასამართლოს მოხელეს, ან ხაზნის ჩინოვნიკს, ან აფთიაქის პატრონს, ან მსახიობს და სხვა ამგვარებს?

ხანგრძლივმა კამათმა გამოარკვია, რომ მათ არა აქვთ ცემის ნება **უმიზეზოთ**. ეს შეკვეცა მოქალაქეობრივ უფლების ცოტა სუსტათ იყო დასაბუთებული და თუ ჩვენ მას აღარ გამოვეკიდეთ ეს იმიტომ, რომ არ შეგეწყინონ, თითქოს პირადი ინტერესი გვალაპარაკებდეს. აბა [illegible] ქალაქის გამგეობის წევრებს და ხმოსნებს (ცალკეულთ ბ-ნი ათობეგოვი და სვეშნიკოვი) ევალებათ სცემონ ტრამვაის მოსამსახურეს არა თუ **უმიზეზოდ**, არამედ **კანონიერ მოთხოვნილებისათვისაც კი**. ხოლო ჩვენთვის, პრესის წარმომადგენელთათვის კი რაღაც, **მიზეზია** საჭირო. რასაკვირველია მიზეზს როდესაც გინდა, მაშინ იშოვნი და ფაქტიურად ჩვენც უზრუნველ ყოფიღნი ვართ, მაგრამ შეზღუდვა მაინც არის.

ცემის მიზეზთ შეიძლება ჩაითვალოს:

ა) ტრამვაიზე არ აშვება, როცა თითო სკამზე ათ-ათი კაცი ზის, ხოლო წინა და უკან თორმეტ-თორმეტია გაჩერებული. თუ მაინც სადმე შეეხეთრეთ და კონდუქტორი გაჯიუტდა. ვაგონი არ დასძრა, შეგიძლია რეპრესია გააძლიერო.

ბ) საგულისხმიერო მიზეზია „ტოკის“ შეწყვეტა და ვაგონის გაჩერება. უმად დგომას უმად შრომა სჯობია და შეგიძლიათ ამ შემთხვევაშიაც თავისუფალი დრო კონდუქტორ-ვატმანებზე ვარჯიშობას მოახმაროთ.

გ) ხერდა ფულის უქონლობა არის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი. მაშინ ყოველი მოქალაქე ვალდებულია ფიზიკურ ღონის-ძიებას მიმართოს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ცემის შემდეგ მოსამსახურე ისჯება უკვე ტრამვაის პირდაპირი ადმინისტრაციის მიერ და ლანძღვა-გინებასავით იოლათ ეგ მათ არ ჩაუვლის. კრებამ ერთხმად დაადგინა, გარდა ბ-ნ პრაპორშჩიკებისა **სავალდებულოთ** არავისთვის არ გახადოს ტრამვაიელთა ცემა და ვისაც არა აქვს სურვილი, ანუ მოთხოვნილება ამისი, შეუძლია მშვიდობიანათ იჯდეს ვაგონში, ამისთვის მას საყვედურს არავინ ეტყვის.

მორიელი.

ვოთხროგა, რომელიდანაც მკითხველი ნათლად გაიგებს თუ რა ადგილი საზოგადოებრივ ლერძი ჩვენი ცხოვრებისა— შაქარი

თქვენ გინდათ შაქარი იყიდოთ, რადგან თითქმის ნახევარი წელია ყურებ ჩამოყრილი შემოუჯდებით ოჯახობით სასადილო მაგიდას და იყლურეებით კომფეტებით, ან შოკოლადით (ისიც იშვიათად) გამტკბარ ჩაის. შაქრისთვის თქვენ არ დაინანებთ მანეთ-ნახევარს გირვანქაში, მაგრამ ამაოდ, სადაა შაქარი. დილიდან საღამომდე ყურყუტებთ

*) სასეფდობრ მაშინ, თუ მდანძდეული მანდიდოსანია და ამასთან რომელიმე ტრამვაიელ ბობოლასთან დაახლოებული, რასკვირველია ანა ნთესაური კავშირით.

თქვენ ქალაქის დუქნებთან, მაგრამ როდესაც თქვენამდე აწევს რიგი შესვლისა, ილევა შაქარი, იკეტება დუქანი. თქვენ უშაქროთ რჩებით.

სირცხვილით თვალებში ვერ შეგიხედნიათ თქვენი პატარა ბავშვებისათვის, ცოლისათვის, მობუზღუნე სიდედრისათვის. რაღა კაცი ხართ, რომ შაქარს ვერა შოულობთ?!

მე კი შაქრის შეძენაში ოსტატობა ვიხმარე! ნათქვამია „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“.

—

ჩემი სახლის პირდაპირ დუქანში შეველ. დუქნის პატრონი — სპარსელი, დახლში იჯდა და არ ხეინით სთვლიდა ფულებს.

— სალამ ალეკუმ! როგორა ხარ ალი?

— გაგიმარჯოს, ჩემი სახელი მაჰმად.

— ოჰ უკაცრავად! მაჰამედ! როგორა ხარ, ჩემო კარგო?

— მე კარგად არის. შენ რა უნდა?

— არაფერი, ჩემო კეთილო, შემოვიარე ისე მომწყურდა შენთან ტკბილი საუბარი... კარგი კაცი ხარ მაჰამედ!

ნიშნად აშხანაური გრძნობისა მხარზე ხელი დავკარი და შევცინე. ცოტა არ იყოს აქტიორული ნიჭი მაქვს და ამიტომ ძალიან არ გამძნელებია ჩემი სიტყვებისთვის ნამდვილი ძმური მეგობრული კილო მომეცა.

— ზმაო, შენ რა უნდა!

— მე, ჩემო მაჰამედ? შენგან რა უნდა მინდოდეს, თუ არა კეთილი ჭუკჭუკი, საუბარი.

— კაცო, მე შენ არ გიცნობს.

— ვაჰ. მაჰამედ! არ მიცნობ? კაცო ასე მალე დამივიწყე? მაშ არ გახსოვს ერთხელ ერევნის მოედანზე ტრამვაიზე ჯდებოდი და მსხლით სავსე ტომარის ატანაში დაგეხმარე?

— ა, შენ ჩემი მეზობელი! შენ იქა ცხოვრობს.

— ჰო, ჰო, იქა ვცხოვრობ, იმ სახლში. ოთახში უსაქმოთ ველარ გავძელი და შენთან გადმოვიარე სამუსაიფოთ, ხომ არ გამაგდებ ჩემო მაჰამედ?

— რატომ გაგაგდოს! შენ კარგი კაცი ვარ!

ვიდრე მაჰმადი დუქანს დაჰკეტდა არ მოვცილებივარ და ბევრიც ვაცინე ჩემი იმერული სკეტების წაკითხვით და ანეკდოტებით.

თერთმეტ საათზე ძმურად ხელი ჩამოვართვი და სახლისაკენ წამოველ.

მეორე საღამოს კვლავ ვესტუმრე მაჰამედს. ლაპარაკით რომ ვიჯერეთ გული, შემდგომ სალამოს თერთმეტი საათისა გავისეირნეთ ქალაქის საუკეთესო ქუჩებზე.

— ზმაო, გიორგი, რა კარგი სახლებია. რატომ ჩვენ არა აქვს?

— ეჰ მაჰამედ-ჯან, დრო მოვა ჩვენც გვექნება.

მივუახლოვდით პირველ ხარისხოვან რესტორანს და მაჰამედა შევიპატიჟე. ცალკე კაბინეტში მოვთავსდით. ვინა სთქვა, რომ წინასწარმეტყველ მაჰამედის სჯულის მიმდევარნი კახურ ღვინის სმაზე მტკიცე უარს ამბობენო?

სიცრუეა.

კარგათ მახსოვს, რომ კახური ღვინის ბოთლების გახსნას ვერც-კი ასწრობდენ, ისეთი სასწრაფოთ ისხამდა სტაკანში მაჰამედა. მან სპარსული ბაიათები შემოსძახა, მეც არ ჩამოუვარდი და დუდუკზე ლეკური ჩამოუარე.

მაჰამედა ჩემდამი ძმური სიყვარულით გამსჭვალული წამ და უწუმ იცრემლებოდა და ასლოკინებდა...

დილის ოთხ საათზე გამოგვეპარეს რესტორანის უკანა კარებიდან, რადგან ვაპრობის ნება ორ საათამდე ჰქონოდათ. ქუჩაში მაჰამედა თითქმის ყველა ბოძთან ჩერდებოდა და ტირილით ეუბნებოდა:

— გიორგი შენ კარგი კაცი ვარ შენ ჩემი ძმა არის...

ქუჩაში დაგუბებულ წყალში უნებლიეთ ბანაობის შემდგომ სიმთვრალისაგან ცოტა გონს მოველი. მაჰამედა ეტლში ჩავსვი და სახლისკენ გავეტუმრე.

ჩემთან დაშორება არ ეპიტნავა, დიდხანს მესმოდა მისი ხმა:

— გიორგი, რად დამტოვე! შენ ჩემი ზმა!..

მე ღამე საპოლიციო ნაწილში გავათიე, რადგან, წესიერების დამცველს არ მოსწონებოდა ჩემი ფარფატი და ცხვირით ქვა-ფენილის ზომვა ღამის სიბნელეში. ეს ღამე დამიჯდა ოცდა ერთი მანეთი. არც მეტი არც ნაკლები.

როდესაც მეორე საღამოს მაჰამედა ერთ საღგომში წვიყვანე საქეიფოთ, რომელსაც გარედან შემდეგი წარწერა აქვს: „Модная дамская масте-

ская“ და გვიცანი ლამაზი გოგონები: მაშო, ტასო, და მარო და როდესაც, ნასიამოვნები, ღამის ორ საათზე მთვგან სახლებისაკენ წამოვედით მე გზაში შევჩერე მაჰამედა.

— მაჰამედ, მოიცადე!

— რა გინდა, ზმაო გიორგი?

— შენ ხომ ჩემი კარგი მეგობარი ხარ?

— ზალიან დიდი მეგობარი! შენც კარგი მეც!

— შენ ხომ დამპირდი, რომ ჩემი გულისთვის არაფერს დაინანებ და გაპირვებაში დამეხმარები.

— ჰო, აი, გინდა ეხლა ზღალში გადავარდე? მითხარი გადავარდეს!—გულზე მეშტი დაიბრაგუნა— შენთვინ ცეცხლში დაიწვა, ზღალში დაიხრჩო, ჰალალია!

— მაშ მე ერთი რამ უნდა გთხოვო, ჩემო კარგო.

— რა გინდა! ყველაფერს ავასრულებ.

— იცი რა... ჰო... შენი ჭირიმე, მაჰამედჯან, ძლიერ დიდ გაპირვებაში ვარ. კაცს ცოლი დამიკლეფდა, სიდედრი დღეში ორ კეტს მამტვრევს თავზე, მოსამსახურე გამექცა უშაქრობის გამო. გინდა თუ არა შაქარი მოგვიტანეო! მე კი შაქარს ვერსად ვშოვობ! შენ თვითონ სთქვი, სად უნდა ვიშოვო?

— მართალია!

— ეხლა გეხვეწები, ჩემო მაჰამედ აი... დაგიჩოქებ და ისე გეხვეწები—მე დავიჩოქე ქუჩის წუმპეში—დამეხმარე და მომყიდე შაქარი, შენ გენაცვალე, მაჰამედ-ჯან... აი, თუ გინდა ხელზე გაკოცებ...

მაჰამედა მოიღრუბლა, ტროტუარზე ჩამოჯდა და ჩაფიქრდა, მე კი დაჩოქილი შევჩერებოდი მას თვალებში...

დიდ ხანს ფიქრობდა მაჰამედა.

— გარგი! მოგყიდის! შენ ჩემი კარგი ძმა, დოსტი, სხვას არ მიგყიდი!..

მე წამოვხტი და სიხარულით იქვე შევასრულე „დაჟიგა“ ინგლისელ ბეზღვაურების ცეკვა, რითაც დიდად ვასიამოვნე მაჰამედა...

მას შემდეგ მე ბედნიერი კაცი ვარ! ყოველ კვირაში ნება მაქვს ერთი გირვანქა შაქარი შევიძინო მაჰამედასაგან, რასაკვირველია, სინდიერი ფასში—გირვანქა სამ აბაზათ, მხოლოდ რომ ჩემსა და მაჰამედას შუა მეგობრული განწყობილება არ დაირღვეს, კვირაში ორჯერ რესტორანში ჩემს ხარჯზე ვქეიფობთ და საღამოს რვა საათიდან ათამდე და ხშირათ თერაზეტეტამ[illegible] ბის დუქანში იმერულ-კინტოურ სიმღერებს [illegible] ტეტების წარმოდგენაში ვარ გართული.

გუგული.

ჭრელი ამბები

სტატისტიკა, თუ გეოგრაფია.

პატივცემული გაზეთი „ახალი კვალი„ (№ 37) ეხება რა საერთოშორისო ომის საკითხს, უმთავრეს ყურადღებას რუმინიის გამოსვლას აკუთვნებს, მაგრამ ჩვენი მტრების თვალის ასაბნევად რუმინეთის სატახტო ქალაქი **ბუქარესტი**, ანუ **ბუქურეშტი** კასპიის ზღვის იქითა მხარეში, სახელდობრ **ბუხარაში** გადააქვს. „ახალი კვალი“ სწერს:

„რუმინიის დედა ქალაქ **ბუხარაში** 14 აგვისტოს, ომის გამოცხადების დღეს სახლები ბაიარაღებით იყო მორთულიო.‘‘

ცოტა ქვევით იგივე გაზეთი სწერს:

,,გაზეთების ცნობით **ბუხარას** ცეპელინებმა ყუმბარები დაუშინესო‘‘.

თუ ეს ზემოაღნიშნული მიზნით არის ნაწარმოები უნდა გამოვტყდეთ, რომ ეშმაკობა ადგილი ასახსნელია. ამას გერმანიის შტაბი კი არა...

მახათი.

გამოცანა

(ბეთურიხათვის)

შუა ხიდთან განისვენებს
ვინმე ტყავის ხელოსანი,
ტკბილი ენით მოსაუბრე,
ბიჭი ერთობ „ჭრელოსანი!“

მემარცხენეთ მოაქვს თავი,
კუდს აქანებს როგორც მელა:
მოქალაქე, მეტიმძანე,
გაიცვერა, ცრუპენტელა.

სასტიკი სენი აუტყდა
ამ ბოლო დროს უბედურსა,
ენის ქავილი დასჩემდა
და დააკლა მგონი ყურსა.

სხვის მოსარჩლე, სხვის მამიდა,
ვეკილია ეაჭრებისა,

ამ დროით მანც ისარგებლა
და გაიცლო ფულით ქისა

ტაქსის კრებას თუ დაესწრო
ვაჭართ ხროვას ჩაუჯდება,
ჩარჩებს ვინმემ თუ შენიშნა
გულის ძგერა აუტყდება.

ჭითურის სცენის თვალი,
მოამაგე ძველის ძველი,
საუცხოო მოთამაშე.
ნიჭიერი, მჭევრმეტყველი.

დრამა იყოს, კომედია,
ოპერეტი, ტრაგედია,
მის ნიჭს ვერრა დაუდგება,
მისთვის სუყველა ერთია.

არ აქვს ზომა, არც საზღვარი,
არის მეტათ მრავალ ფერი,
მას მრავალჯერ მოუხიბლავს
გალიორკა და პარტერი.

—

აწკი საკმარისი არის
განმარტებანი ჩემია,
ეცადეთ, გამოიცანით,
თუ რომ გსურთ უხვი პრემია.

საჩუქარი დიდებული,
ჩარჩი ვაჭრის სურათია
ოდეს მან დგმურს ქირისთვის
ერთი ყოფა დაათია.

ოდეს იგდო ფერხთა ქვეშე.,
ვაჟკაცობა ჩაიდინა
და საწყალ კაცს ცხვირპირიდან
უხვად სისხლი დაადინა.

ოდეს იგი ამ საცოდავს
აძრობს ტყავს და აცლის ქონსა,
ამ მომენტში გადაღებულს
სურათს უძღვნი გამომცნობსა.

მემარცხენე ჩარჩი ზევით,
ქვეშ გდებული საწყლათ დგმური,
გარწმუნებთ რომ ამ საჩუქრით,
არ დარჩებით უმადური.

არშინი და კალაპოტი

ატკრიტი პისმანა

გასპადინუ ეშმაკმა

ბაროვ, ახპერ! კაკ პაკივაინშ! მოი დელა, ბრა[illegible]ოჩინ პლოხო. ისე შამემერტყა გარს ეგ ვაჭრებ[illegible] ხროვა და ისეთნაირი ალყა გამიკეთა, რომ გეგონ[illegible]ბა ბრუსილოვეცკის ირმიაიო!.. ისეთნაირათ მიკრ[illegible]ჭუნებენ კბილებს, რომ ლამის არის თოხლო კვერ[illegible]ცხვივით გადამყლაპონ რაღა!

მაინც შე დალოკცილო, ძალიან დიდი საპრის[illegible]ტავო ჩამაბარე. ხუმრობა ხომ არ არის მთელი ჭი[illegible]ოურის უჩასტკა გადამემტერა! ზოგი სუდში მიჩივ[illegible] და ზოგიც მასაკის გაკეთებასა მპირდება. სუდში ჩ[illegible]ივლის რა მოგახსენო, და მასაკის კი მადლობელ[illegible] ვიქნები. ამ ჩვენ აბანოში სამი წელიწადია მექის[illegible] არ გაუპაპანია და ერთი რიგიანათ აღარ მიბანავ[illegible]ნია. თუ კი იმდენ სიკეთეს მიზამენ, რომ მექის[illegible]ბას გამიწევენ და დახუთულ ძვლებს გამიტკაცუნ[illegible]ბენ, ვინ პირძაღლი მაკარიჩსაც არ ჩამოვა არა, ეს ერთი ცაცია ვაჭარი მაინც ძალიან მემუქრება. იძახის: „ეს ულვაში კატის ბანალი იყოს, თუ იმ[illegible]დენი არა გცემო, რომ სამოც ვედრიანი რუმბივით[illegible] არ გაგბეროო“. იმას, რაზუმეიცა, თელაველი ტიგ[illegible]რანას იმედი აქვს, მაგრამ ის კი არ იცის, რომ მე[illegible] თითონ გვირაბის უბნელი ოხერი ვარ. მოგიკვდ[illegible]გოგია, თუ ისიც და მისი პაკრავიტელი ტიგრანაც[illegible] ძველ გალავანში არ გადავრეკო.

მაგრამ მე ერთი რამის მეშინიან, ძმაო ეშმაკ[illegible]ვაი თუ უკანდან მომპარონ და მერე ვინ იქნ[illegible]ატვეჩი! რადი ბოლა, გასპადინ ეშმაკ, სდელიტ[illegible]მნე ადინ ადალუენია. მოკეტ ბიტ ვი ნაიდიოშ [illegible]ტიფლის ნოვი მოდნი ლევორველ. ისეთი ლევორ[illegible]ველი უნდა მიშოვო, რომ უკანიდან ვარდებოდეს[illegible] შენ თუ ამის აბეზპეჩენიას მამცემ, რომ უკანიდ[illegible]ში არ მექნება, წინიდან მე მკითხე. ვისაც დაე[illegible]ტაკები გერმანეკი ტახივით სამ ვერსზე ვისვრ[illegible] ქრისტეს მადლმა!

ტი მნე ტოლკი პრიშლი სკორო
ნოვი მოდნი ლევორველი,
რომ კაცს ხერეტდეს სამ პო სგბე
და მე ვიყო უვნებელი.
ნადა ვსეგდა ბიტ გატოვი,
ოდეს მტერი მოდიოდეს,
ლევოროვ დოლუენ ბიტ ტაკი
წინ და უკან ვარდებოდეს.

როცა მინდა წინა ვბრიგო,
როცა არა, უკან ვაგდო,
ჩემი მტერი და მოყვარე
ყირამალა გადავაგდო.

თუ მამაწვდი არუტიეს,
ბლომათ მოგწერ ამგვარ სკეტებს
და სულ მალე მოგიორჯულებ
მტაცებლებს და გაიძვერებს.

თუ არა და ვერას დავწერ,
რადი ბოლა ნე სერჩაი!
ზადნი ხოდით რომ დამეცენ,
ვინ იქნება ატვეჩაი?!.

გოგია.

აგარაკზე

ღამის მორიგეობის შემდეგ მივწექ და თვალები მივლულე, რომ კარებს დარაჯი მოასკდა: „ინებეთ ქუთაისიდან საჩქარო ტელეგრამაო“

ტელეგრამის გაგონებაზე ”ი“ შით კინაღამ გული გამისკდა.

იმ ბედნიერთა რიცხვს რომ ვეკუთნოდე, რომელთაც ტელეგრამით დაბადების დღეს ულოცავენ, საზეიმოთ ეპატიჟებიან, ან და ატყობინებენ, ამდენი და ამდენი ფული გამოგიგზავნეო, მეც სხვა ვვარ შეეხვდებოდი, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ მე ასეთ ტელეგრამებს არასოდეს არ ვღებულობ.

ჩემ სახელზე გამოგზავნილ ტელეგრამით თუ ვინმე ახლობელის სიკვდილს არ მითვლიან, უსათუოდ ფულს მთხოვენ და ალბათ ამისთვისაა, რომ ისე არაფრის არ მეშინია, როგორც ტელეგრამის.

დავიღუპე... უთუოდ ჩემს მეუღლეს გაუპირდა რამე! აღშფოთებით წამოვიძახე და ტელეგრამა ხელიდან გამოვვლიჯე.

— „ვკვდები, ცოცხალს მომისწარიო“ მითვლი და ჩემი ძვირფასი ნახევარი.

ენა ჩამივარდა, სხეულმა ბაგძაგი დაიწყო მალე თვალებშიაც სინათლე დამეკარგა და მოვკვდი... მე მაშინ ასე მეგონა.

გავეშურე ქუთაისისკენ. პირდაპირ იმ ოთახში შევიჭერ, სადაც მომაკვდავი მეუღლე მეგულებოდა.

— ნუ თუ უჩემოთ დაასაფლავეს! მწუხარებით აღმომხდა გულიდან და შავი ფიქრებით გარემოცული იქვე ჩამოვჯექ, როცა აღარ ვიცოდ ვინ არა-ვინ დამხვდა.

— სად თქმულა!? რომ „მომაკვდავი“ ჯანმრთელის შესახვედრათ სადგურზე მიდიოდა?! აი რას ნიშნავს უზომო სიყვარული! ვფიქრობდი და თვალებზე ცრემლებს ვერ ვიმაგრებდი, როცა გავიგე ჩემი მეუღლის სადგურზე წამოსვლა.

— მე თუ შესახვედრათ წამოვედი, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს ჯარგათ ვიყო! მიპასუხა სადგურიდან დაბრუნებულმა ცოლმა და... მაგრამ... მ... აგრა�ამ სულ... ერთია... მე... მე მაინც მალე მოვკვდები თუ...

— თუ, რაი ქალო ?? შევეკითხე მე.

— წაბრძანდი და ექიმი გეტყვის...

— შენ ხომ გითხრა და ჩემი კითხვა რაღა საჭიროა! სთქვი თუ რაო?!?

— სულ ერთია... სანამ სული არ ამომძრალა შენ მაინც არ დაიჯერებ... უმჯობესია ექიმს კითხო...

— ადამიანო სთქვი თუ რაო??

— რაო და თუ დაჩაზე არ წახველი წაღვერში შენი სიცოცხლის დღეები დათვლილიაო.

— კი მაგრამ შენ ხომ იცი...

რა სისულელეა მტკიცება! განა ვის შუძლია უსახსრობით მოარბილოს აგარაკზე მიმავალი მეუღლე? მეც გავჩუმდი.

ჩავედით წაღვერში, დაღამდა და მე კიდევ ოთახს ვეძებ. წაღვერის კოოპერატივის წინ, შუა ხნის გლეხმა გზა დადამილობა და მითხრა:

— „ერთ ოთახს ბატონო მე მოგაქირავებ მხოლოდ იმ პირობით, თუ არ დაახველებთ“

— როგორ თუ არ დავახველებთ, არ მესმის?!!

— დახველება რას ქვია როგორ არ გესმით, ნასწავლი კაცი ბრძანდებით!

— ერთი სიტყვით თქვენ გინდათ სთქვათ: თუ ჭლექი გჭირს ოთახს ვერ მოგაქირავებო, ხომ??

— არა ბატონო, ჭლექიც რომ გჭირდეთ თუ იმის პირობას არ მომცემთ, რომ არ დახველებთ ათასი მანეთი რომ მომცეთ ოთახს ვერ მოგაქირავებ.

— რატომ? მიზეზი!?!

— რომ იცოდეთ აქ ვინ ცხოვრობს აღარ მკითხავთ.

— ვინც უნდა ცხოვრობდეს, სულ ერთი არაა?? ვის რაში ეკითხება მე დავახველებ თუ არა!!!

ᲝᲗᲮᲘᲐᲜᲘ

I — ᲮᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ. სადილათ თიკა.

— არა ბატონო, სულ ერთი არაა. თუ გველესიანშა გაიგონა ვი იმ სახლის პატრონს, სადაც თქვენ იქნებით.

— ვინ გველესიანია!

— ჭიათურიდანაა მდიდარი ვაჭარი, როგორ არ მოგეხსენებათ! ამას წინეთ ლაზარე კაჩუნაშვილს შავი დღე დააყენა: „როგორ გაბედე და შენ სახლში ავთმყოფი დააყენო, შენი სახლიდან ხველება მესმის და ვნახოთ თუ შეგრჩება ასეთი ურჩობაო“. —რა ვქნა ბატონო, ის მდიდარი კაცია, ქვეყანა მას იცნობს და ცოტა არ იყოს ქე მეშინია ამ სიბერის დროს რომ გამაციმბირონ.

ამ დროს საუბედურთოთ ყელში რაღაცა გამეჩხირა და ერთი დამახველა, მივიხედე მაგრამ ჩემი მოსაუბრე აღარსად სჩანდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ ველარაფერი გავიგე.

ის იყო სასოწარკვეთილი უკანვე გამობრუნებას ვაპირებდი, რომ ერთ კარგ მეგობარს შევხვდი, რომელმაც გაიგო თუ არა ჩემი გაჭირება, ერთი პატარა, გალიის მსგავსი ოთახი დამითმო, სადაც ჩემი „მომაკვდავი“ ცოლი დავბინავე და თვითონ უკანვე გამოვბრუნდი ჩემ საცხოვრებელ სადგურში, სადაც წაღვეერიდან ტელეგრამა უკვე მოსული დამხვდა. მართალია იგი ჯერაც არ გამიხსნია, მაგრამ შიგ რაც ეწერება მკითხველმაც კარგათ იცის და მეც.

კ. ᲛᲬᲕᲐᲜᲔᲣᲚᲐᲕᲘᲚᲔᲚᲘ.

მარხულობისა

2 — **ოთხშაბათი.** ნედლი ბალახი.

3 — **ხუთშაბათი.** ქატო ქმრით.

ეპარპალა

„ყრუ რაკრაკით ჩამორბოდა
ის პატარა კორდის ძირსა
და მუნ გაშლილ ტურფა ყვავილთ
წმინდა ცრემლით ბანდა პირსა“.
ვინაა **ის** არ ენახოს
მთის პირათ, ან მინდორ-ველად,
ქალაქში, თუ დაბა-სოფელ
ბალ-ბოსტანთა მოსარწყველად?
დავიწეროთ ჩვენ ეგ სიტყვა,
ეგ ხმა მოკლე, ეგ ნარნარი,
ზოგან გველებრ დაკლაკნილი,
ზოგან სწორე ვითა ლარი.

—

და ვეწვიოთ ეკლესიას
ქართულ წირვის მოსასმენად,

(ზოგან ქართულადაც სწირვენ
ჯერ-ჯერობით იღბლათ ჩვენად!)
იქ ერთ სიტყვას გაიგონებთ,
საგალობელს არა ქართულს,
„აწდა-მარადისის“ შემდეგ
საბოლოოთ გადახლართულს.
ოთხი ნიშნით იწერება
უცნაური სიტყვა იგი
და იმითგან თქვენ პირველი
შეიწირეთ ვით ტარიგი.

—

თუ პირველი სიტყვა სკანით,
მაშ მო ავყვეთ მისსა პირსა;
ბუჩქის ძირას ყვავილს ვნახავთ
სურნელება განახშირსა,
ლამაზია მტრედის თვალა,
ჭვრეტაც მოსწონს, ყნოსვაც მისი,
(იმითია შენამკობი
„დედა-ენის“ დასაწყისი).

—

მოვიპოვეთ რაც გვინდოდა
მუყაითი მძიმე შრომითი...
ის, ვინც ერთობ გაგვიმდიდრდა
ნეიტრალიტეტში ჯდომით.
გუშინ ჩარჩს რო ეძახოდენ
და ხვეტავდა ოქროს წმინდათ,
დღეს ფარ-ხმალით აღიჭურვა
და გვაჩვენებს თავს რაინდათ.
იმ საქმეში კარგი იყო:
ფრთხილი და წინდახედული;
ახლა ენახოთ, თუ რაინდათ
დარჩეს რაზომ გაბედული.

კოლო.

სასარგებლო ცნობები

(ქართულ კალენდრებიდან)

21 აგვისტო. ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲚᲐ ᲧᲘᲜᲕᲐᲨᲘ.

,,თუ კაცი ყინვის დროს სადმე მიდის, კარგს იზამს ფეხებზე სწერ ქაღალდს დაიხვევდეს და შემდეგ წინდას ჩაიცვამდეს. თუ ორკეცათ დაიხვევს, უფრო თფილათ იქნება. ქაღალდის დახვევამდე ფეხი უნდა გაიმშრალოთ და შემდეგ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡ ᲡᲞᲘᲠᲢᲘ წაისვათ.

კ. თავართქილაძე.

—

P. S. საზოგადოთ ჩვენი ᲙᲔᲚᲔᲜᲓᲠᲘᲡ ერთობ ღარიბებს და მასთან მეცნიერებისაგან უკვე უარყოფილ ცნობებს იძლევიან კალენდრის ფურცლებზე.

არსესებობს ახალი არა ერთი და ორი საშუალება ფეხის სიცივისაგან დასაფარავათ:

იყიდეთ 3 გირვანქა კახიფოლი, ამდენივე ქონი (ღორისა) და 4 გირვანქა თაფლის სანთელი. ჩაყარეთ ქვაბში და შემოდგით ცეცხლზე. როცა ნივთიერებანი გადნებიან მოურიეთ რამოდენიმე ჯერ. შემდეგ გაიმშრალეთ ჯერ მარჯვენა ფეხი და ჩადგით ქვაბში. როცა მარჯვენას ამოიღებთ ჩადგით მარცხენა. ამოღებულ ფეხს თან ამოჰყვება სქელი კანი ქვაბში მოჩუჩუხე ნივთიერებისა. ვიდრე მარცხენა ფეხი ქვაბში გექნება, მარჯვენაზე კანი გაცივდება. ამოიღეთ მარცხენა და ჰკარით მარჯვენა. ასე ბოლომდის. რაც მეტჯერ ჩაჰყოფთ ფეხს მდუღარე სითხეში და მეტ კანს გაიკეთებთ შითუ უკეთესია. შემდეგ წაისვით სპირტი, ჩაიცვით წინდები და იარეთ რამდენიც გინდათ.

ᲔᲥᲘᲛᲑᲐᲨᲘ.

ᲓᲔᲯᲔᲣᲨᲔᲑᲘ

ᲡᲐᲛᲬᲠᲔᲓᲘᲐ. ლექტორი ქალი ვ. მიქელაძე უარსყოფს ზოგ მსმენელთაგან გამოტანილ შთაბეჭდილებას, თითქო მას თავის ლექციაში სავსებით გადმოეწეროს ფრანგული ლიტერატურა და ᲕᲔᲠᲮᲐᲠᲜᲘᲡ რუსული თარგმანი. მისი განმარტებით, ხსენებული ლიტერატურა გაცილებით მეტ მასალას შეიცავს და თუ მაინც მეტი აღარ ამოიწერა, ეს იმიტომ, რომ ᲔᲨᲘᲜᲝᲓᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ საექსკურსიოთ ჩამოსული სახალხო მასწავლებლები (ლექციაზე მსმენელებთან მოსულნი) პირველი საათის მატარებელს არ ჩამორჩენილიყვენო.

ᲘᲥᲘᲓᲐᲜᲕᲔ. იგივე ლექტორი ქმლი უარყოფს ხმებს, თითქო მას გიგო დიასამიძის დაფნის გვირგვინი შეშურებოდეს და მისი წაბაძვით შეედარებიოს ქართველები კრილოვის სამი ცხოველისთვინ (Лебедъ, ракъ да щука.) პირიქითო, ქართველი ხალხის ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲐᲗ დაყოფას მე ჯერ კიდევ გიგოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადებამდე ვებრძოდი, ხოლო ცისფერი ყანწების გამოსელის შემდეგ ფიცი დავსდე ყველგან და ყოველთვის ვამხილო საქართველო, რომელიც ამ ჯგუფობრივობის გამო არ ებრძვის გრ. რობაქიძის ხურუშინობას და ამ პსიხოპატისაგან რუსთველის შეურაცხყოფასაც კი ითმენსო.

იქდანვე. იმერელმა ქალიშვილებმა დამშვიდებით ამოისუნთქეს იმის გამო, რომ „ეშმაკის მათრახის“ უკანასკნელ ნუმერში გუგული კვლავ ქალებს დაუბრუნდა. წინანდელმა ორმა ნუმერმა აქაც ძალზე დააფრთხო ქალები: „ნუთუ გუგულიც სოციალურმა საკითხებმა უნდა გაიტაცოს“-ო, გაიძახოდენ ერთხმათ შეშინებული დეკლლის-ტ-ოლო-ოლლისტკები.

ნადიას მოწონებული*).

—

ნავთლული. ნავთლულის ფრონტზე ვირთხების მიერ გაცხარებული იერიშები დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს; პირველი იერიშები მოიტანეს და 3 დღის თავგანწირული ბრძოლით აიღეს, ავეჯოულობის და სანოვაგეთა საწყობები, რამაც მთავარი როლი ითამაშა ბრძოლის სასწორის გადახრაში. ამის შემდეგ გამხეცებული თაგვთა არმია გარს შემოერტყა გოსპიტალს და ერთის დაკერით ხელთ იგდო. ამ ჟამად ყველა კორპუსებში, სასადილოებში და ბინებში აუარებელი ვირთხაა დაბანაკებული და თუ კონტრიერიშებით არ ვაიძულეთ საქართველოს დედა ქალაქიც კი საფრთხეში ჩავარდება.

— ახლად მობრძანებულმა „ეკონომმა“ ერთ მსახურთაგანს ბრუნდე ცხვირი შეამჩნინა და მყისვე მივარდა, რომ გაესწორებია, მაგრამ ხელი იღრძო. კეთილი საქმე უმსხვერპლოთ ვის უნახავს.

ხანი.

—

— ექიმი ვერდიანის კანკარგულებით სასტიკად აიკრძალა მოწყალე დებთან გალაპარაკება; როგორც ირკვევა ეს უცნაური განკარგულება გამოუწვევია იმ გარამოებას, რომ ბ. ექიმი მისაღებ „იურტაში“ საერთო პაციენტთა ცხრილში მოწყალების დათა რიცხვს საგრძნობელათ დაუკლია.

როგორც ხმა დადის მოწყალე დებს შუამდგომლობა აღუძრავთ, სადაც ჯერ არს, რომ საზოგადოების გვერდით ქეჩებზე მიმოფენილ შესწყდეს და გაშენდეს ბაღი სახელწოდებით „ასსარეინურო ბუჩქნარი“

ნაფლეთი.

—

ჭიათურა. ძმ. გუბელაძეებმა გადასწყვიტეს ბ. პ. პეტრიაშვილს ვაჭართა გამოსარჩლებისათვის საზოგადოთ და კერძოთ კე მთი ინტერესების დაცვისათვის აუგონ „ზელიონი ბაზარში“ საუცხოო ძეგლი. ძეგლი მცენარეებისაგან გაკეთდება. ძეგლის პროექტი დაბლოვებით ასეთი იქნება: ფეხები სტაფილოსი, მუცელი და უკანა ნაწილი ნესვ-საზამთროსი, მკლავები ნიახურ-ოხრახუშის, კისერი მეკვე კიტრის, ხოლო თავი დამპალი ჰამიდორის. ეს პროექტი განსახილველათ და დასამტკიცებლათ წარედგინა ბ. გრიგოლს, რომელმაც უკვე მოიწონა და ახლო მომავალში შეუდგებიან გეგმის განხორციელებას.

№ 10.

—

ბუტუნას საგენტო.

ფოთი. ვაჭრები დამშვიდდენ. ქალების ქარტეხილმა უკვე გადაიარა დემოკრატების წყალობით. უკმაყოფილო დარჩენ ალექსანდრესა და თევდორეს „პარტია“, რომლებიც ლამობდენ დიდ ძალ ნადავლის შეძენას. სამაგიეროთ ბ-ნი ვაჭრები ყველაფერ საქონელს „ნიხრზე“ ჰყიდიან, ხოლო ეს ნიხრი ავტონომიურად თითოელ მაღაზიაში შემუშავებულია, საღი საქონელი რომ შეიძინო უსათუოდ კარგი პროტექტორი გინდა.

ქალთა კომისიის ნიხრი იგვიანებს რაღაც მიზეზით ქუთაისიდან ჩამოსელას.

—

ხიფათეთი*) საბოქაულო. „თვალთ მაქცი“, ხიფათეთის საბოქაულო უბანში შეპარულა საქმის საძიებლათ, სადაც მრავალი საჯოჯოხეთო მოქმედება აღმოუჩენია ბოქაულსა. ნიმუშათ იძლევა შემდეგს:

1) ფიზიკური სასჯელი მეფურნისა ბოქაულის პირადი ვარჯიშობით სანამ, ცხვირიდან მოდენილი სისხლი პირს დაბანდა „უხეშ“[1]) მეფურნეს.

2) უწლოვან ბავშვების თავზე მუხრუჭის[2]) მო-

*) კარგი ვინმე მასწორებია კარგი მას მოუვა.

ეშმაკი.

*) ხიფათეთი—ცნობილი უბანი ფოთში.

[1]) უხეშ—მახვდის უსარგებელი.

[2]) მუხრუჭი—გირა ბაწრის.

ჭერა, სანამ ცხვირ-პირიდან ყალბის[3]) სისხლი არ წასცდენია.

3) წესიერების დაცვის ჯილდოს[4]) მიღება ჩარჩებისაგან ქალების „მოგროვების“ დროს.

4) დაჭერილ „კონდრაბანდის“ პატრონისათვის „დათმობა“[5]).

5) ბრძანების გაცემა, რომ გვემულმა მომჩივნებმა ექიმს მოწმობა, რომელიც გვერდების დაზელას აღნიშნავს, გააუქმონ.

6) ყველა ეს თურმე ხალხის „სიბრალულით“ მოსდის ბ-ნ ბოქაულს.

ხარ-ბაყაყის ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, სახელათ ხარი-ბაყაყი. მის ბარაზე არაფერი გაეჩინა ღმერთს, არც სახნავი, არც სათესი, არც სახლი და არც კარი. თუ ღმერთს ხელი აეღო მასზე, არც ბუნებას დაეჯილდოვებია დიდათ. ისეთი გრუზა-ტანი ქონდა, რომ დედამიწას უჭირდა მისი ტარება, ამიტომ მეზობლებმა ხარი დაარქვეს. მარა ხარისაგან მითი განსხვავდებოდა, რომ წარა მარა ყეფდა და ლაყბობდა, მისი დაუსრულებელი რეჩებისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ამიტომ მეზობლებმა მის სახელს ერთი ეპიტეტიც წუმბეტს და ასე დასაჩუქრებულს პირში და ზურგს უკან ეძახდენ ხარ-ბაყაყს.

მაშინ საქართველოში ყველაზე იოლი ხელობა მწერლობა იყო. მართალია, კუუს ვერვის უყობდა, მარა ხარ-ბაყაყმა სხვანაირათ შეხედა საქმეს: ალბათ რამე სახრავიც არის, თვარა ამდენი მოკლილი ხალხი იქ რათ ეტანებოთ. მიზნათ დაისახა—ლექსი იქნებოდა, თუ პროზა, პოეზია თუ პუბლიცისტიკა, მუქთათ ერთი სტრიქონიც არ დაეთმო თავის ნაწარმოებიდან. შეუდგა ლექსებს, მარა მალე აიღო ხელი: თითონვე შეატყო, რომ მისი მუზა მარტო რითმის მხრივ ორივე ფეხით კოჭლობდა. არც ბელეტრისტიკაში გაუღიმა ბედმა. პუბლიცისტიკაში ხომ სხვისი დაწერილიც ვერ გაეგო და ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა ჰქონოდა თავისა.

[3]) ყალბი—მოძრაკი.

[4]) ჯილდო—სამარ დროს ძალის მისვლამთ მიდებული სარგებელი.

[5]) დათმობა—სამუდამო ფასად მიეცემა.

დიდ ხანს იქნებოდა ამ გასაჭირში, ოღონ აქ ერთი შემთხვევა არ წამოშვებულიყო: ერთი სოფდაგარი ქალთან შეისწრეს და მძიმეთ დასჯეს. დაჭრილი საავადმყოფოში მიიყვანეს. ამბავი მეტათ საინტერესო გამოდგა და მთელი ქალაქი აქ მოაწყდა. გაზეთის რეპორტიორები წამ და უწუმ კითხულობდენ: მოკვდა თუ ცოცხალიაო. ეს კი მეტათ საყურადღებო კითხვა იყო, ამაზე იყო დამოკიდებული ხვალინდელი ნომრის მეთაური: თუ გადარჩებოდა ავადმყოფისთვის თანაგრძნობა უნდა გამოეცხადებინათ, მკვლელებისთვის კი ზიზღი; თუ მოკვდებოდა, მისთვის ქვა და გუნდა უნდა მიეყარათ, მკვლელებს კი გამოარჩლებოდენ. დაჭრილი კი მეტათ ნაზობდა,—არც საავადოსკენ შვრებოდა პირს, არც საიქიოსკენ. ხალხი წავიდ-წამოვიდა, დარჩენ მხოლოთ რეპორტიორები, რომელთაც ბევრი ლოდინით გული გადაეკიანთ და იქვე ჩაეძინათ. მხოლოთ ხარი ბაყაყი იყო ფხიზლათ. რა დაძინებდა? ის გულმხურვალე ლოცვას აღავლენდა უზენაესისადმი, რომ დღესვე და სწორეთ რეპორტიორების ძილში მიეღო მას ავადმყოფის ცოდვილი სული. უსმინა უფალმა ვედრება: გაიღო კარი და მსახურმა გამოუცხადა რეპორტიორებს—დაჭრილი გარდაიცვალაო. მარა სად იყვნენ რეპორტიორები? სანამ ამათ თვალები მოისრესეს და შეიგნეს ამ დიადი ფაქტის მნიშვნელობა, ხარი-ბაყაყი ქარზე უმალესათ მიქროდა რედაქციისკენ, სადაც მან ღრმა ქლოშინით და ოფლის წმენდით მოახერხა გადაეცა ხვალინდელი გაზეთის დამამშვენებელი ამბავი. რედაქტორებსაც გული გადალეოდათ, მარა კი არ ეძინათ, - განერვიანებულნი ოთახში ბოლთასა სცემდენ და სიმწრით ულეაშებს იკვნეტდენ. ხარ-ბაყაყმა ხელათ გამოარკვია ისინი. „დავსცხოთ, დავსცხოთ, ხვალინდელი ნომრის ტირაჟი 5000-ინ აიწევსო,„ სთქვა ერთმა. „ამ ყმაწვილს კი ნუღარ მოვიშორებთ, მეტათ ერთგული იქნება საქმისაო“ დასაკვნეს ერთხმათ. იმ დღიდან ხარ-ბაყაყმა დაიკავა გაზეთში უმთავრესი რეპორტიორის ადგილი.

გაიარა ხანმა, ხარი-ბაყაყი უკვე ცნობილი პიროვნება შეიქმნა. რა ჯორი იქნებოდა, რომ მას არ შეეტყო, ან თითონ რას მოსჭორავდა, რომ მთელ ქალაქს არ მოსდებოდა. გულთმისანს ეძახდენ, ძოწოდენ და კანკალებდენ მის წინ. წაიჩხუბებოდა სადმე ცოლქმარი და იმდღესვე ცოლი ცალკე მორბოდა ხარ-ბაყაყთან და ქმარი ცალკე.

—„არ დაგვარა ყელი, გაზეთში არ ჩაგვაგდო და თქვენს გასამრჯელოსაც მოგართმევთო.“ ხარ ბაყაყი გასამრჯელოს ორივესაგან იღებდა, ცნობას კი ერთ გაზეთში მაინც ათავსებდა, თან თავს იმართლებდა: მე ამ გაზეთში არ გაუშვი, იმ გაზეთს კი თითონ შეუტანია. დასტამბავდა ერთ გაზეთში ტყუილ ცნობას, მეორე გაზეთში კი თითონვე მას აბათილებდა. ერთ გაზეთსაც თავისათ მიანდა და მეორესაც და ასე ორივეს ხერხიანათ კრეკდა.

რეპორტიორობაც აღარ იკმარა: ჩეარეოდა სადმე ინტელიგენტების ჯგუფში და ხერხიანათ გადისრო�d ანეკდოტს: ჩემი გაზეთის რედაქტორმა ასეთი სისულელე მოროშაო. ატყდებოდა კამათი: ინტელიგენტები ერთმანეთს თავპირს ამტვრევდენ, ხარ-ბაყაყი კი განზე იდგა და ყოველ გაგონილ სიტყვას ფრთხილათ ილაგებდა ტვინის უჯრედებში. ინტელიგენტების ნაფქვავი მეორე დღეს მოწინავეთ გამოდიოდა გაზეთში. ერთი ინტელიგენტი დღესაც ღმერთს და რჯულს იფიცავს: „პირდაპირ გამძარცვა შეჩვენებულმა ხარ-ბაყაყმაო; დამაყაჭვინა ჩემი აზრები და მოსცხო მეორე დღეს გაზეთშიო; მას აქეთ მაგას კაცს ეძახიან, მე კი ზედაც არვინ მიყურებსო“.

ბოლოს ხარ-ბაყაყი დაცოლშვილდა და ამის შემდეგ უფრო მოუხშირა სერიოზულ სტატიების წერას. ახ, ერთი უცხო ენა ვიცოდე, რომ ყველას თვალებში მტვერი მივაყაროვო, ამბობდა ნატვრით ხარ-ბაყაყი. უმისოთაც არ აყრიდა ხეირს თავის მკითხველებს. აიღებდა ახალ გამოსულ წიგნს, გადფურცლავდა, გადმოფურცლავდა, გახეხავდა, გამოხეხავდა და ერთ საათში ხუთას გვერდიანი წიგნის ბიბლიოგრაფია მზად იყო. წაკითხვით კი მას „მამავო ჩვენოო“ კი არ წაუკითხავს და აბა წიგნზე როგორ მოსცდებოდა. გულ იმედათ იყო: მართალია, არ წამიკითხავს, მარა ჯერ აბა ვინ მოსწრობდა წაკითხვას,, რომ მე მიკიჟინოს; როცა წაკითხავენ, ჩემი სტატიაც დავიწყებული იქნებაო. ასეც იყო. რაღა გავგრძელოთ: ხარ-ბაყაყმა მიაღწია მიზანს—მისთვის ლიტერატურული შრომა ცხოვრების წყაროთ გადაიქცა და ამ მხრით ის ერთად-ერთ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენდა საერთო კანონიდან.

მარა მუდმივი არა არის რა ამ ქვეყნათ და ხარ-ბაყაყსაც გადაუბრუნდა კოკი. ერთხელ ერთ კითხვაზე ორი სტატია მოამზადა, ორი სხვა და სხვა გაზეთისათვის. რედაქციაში რომ მიდიოდა, გზაზე ნაცნობმა შეაჩერა და ისეთ [illegible] რამდენიმე ჭიქა არაყი ჩააცალეთო. ეს შეზარხოშება საბედისწერო გამოდგა მისთვის. აერია და მოწინააღმდეგე მიმართულების სტატიები მიართვა რედაქციებს. იმ დროს კამათი მეტათ გამწვავებული იყო და სტატიების ავტორი არც ერთმა რედაქციამ აღარ გაიკარა, ხარ-ბაყაყს სამუდამოთ გამოუკეტეს კარი. საზოგადოებრივმა აზრმაც არ დაინდო ხარ ბაყაყი—ყველამ აითვალწუნა და მოიძულა იგი. ჟორების დიდი ოსტატი ახლა თვით შეიქმნა ჟორების მსხვერპლი და რაც არ იყო, ათ იმდენ ცოდვას აწერდენ. გაკრა ყოველივე იმედი თავის დარჩენისა და ხარ-ბაყაყმა ლიტერატურული ბანაკიდან სამუდამოთ აიკრა გუდა-ნაბადი.

ჩაიცვა რკინის ქალამნები და დაადგა გზასა. იარა, იარა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, რკინის ქალამნები სულ გაცვითა და სამუშავო კი ვერსად იშოვა. ბოლოს ერთ ქვეყანაში მივიდა. გაიხედა ერთ ტყის პირათ და დაინახა, რომ რამდენიმე კაცს რაღაც ფაცი-ფუცი აქვთ. ამ ფაცი-ფუცში ხან ხმა-შეწყობილათ მღერიან და ხან ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ. „ეს რაღაც უცნაური ხალხია, აქ თუ გასჩრის ჩემი იღბალი, თვარა სხვაგან აღარ-სადაოო“ იფიქრა ხარ ბაყაყმა და მიუახლოვდა. გამარჯობა უთხრა და თან მიაძახა—სტუმარი არ გინდათო?—მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო, უთხრეს იმათ. დასხდენ და დაიწყეს ერთი-ერთმანეთის ამბავის კითხვა. თურმე იმათ ტყე გაუჩეხიათ და ახლა პურსა სთესავენ. ერთხელ უკვე დაუთესიათ, მარა ზოგი მათგანი ფიქრობს მეორეთაც დავთესთ, უფრო ხშირი ყანა მოვაო,—სხვები არ ეთანხმებიან—ტყეილათ თესლი დაიკარგებაო და ამაზე აქვთ ჩხუბი. მოიტანეს ხაჭმელი, რაც კი გაჩნდათ და ჭამის დროს გააცნეს თავისი თავი. ერთმა უთხრა: მე ლიხა მქვია, გველსა ხვრელითა ამოიყვანს ენა ჩემი მოუბარია.

ხარ ბაყაყმა სხვას ჰკითხა: მართალს ამბობსო? სხვებმა უთხრეს: მაგას მართალს ამბობს: მარა ისეთი ინტრიგანია, რომ თუ მოინდომა, ტარიელს და ავთანდილს ერთმანეთს შეაკლავსო.

მეორემ უთხრა: მე ალისფერა მქვიან. მე რომ სტვირს დავუკრავ, მთა და ბარი ცეკვას დაიწყებსო.

სხვებმა უთხრეს: მართალია უკრავს, მარა მხოლოთ მაშინ, როცა ლიხა სამჯერ მაინც მიადუ-

ზებიებს თავს კედელზე, თავისით კი ხელს ვერ გაანძრევსო.

მესამემ უთხრა: მე კიკა მქვიან. მაგალითად რომ დამჭირდეს, გველის ხვრელშიაც გავძვრებიო. სხვებმა დაადასტურეს: გველის ჯიშისაა და რათ გაუჭირდებაო.

მეოთხემ უთხრა: მე ადვოკატი მქვიან: კაცს რომ კატორღაში გზავნიდენ, მე დავიხსნიო.

სხვებმა უთხრეს: მართალს ამბობს: ი კიკას ყალბი ფულისთვის კატორღაში გზავნიდენ და მაგან დაიხსნაო.

მეხუთემ უთხრა: მე უსულო მქვიან. დღეში რომ სამჯერ გამლახონ ხმას არ ამოვიღებო. სხვებმა უთხრეს: დღეში ოცჯერაც გაგვილახავს, მარა გულიც არ მოსვლია. პირიქით იძახოდა: მცემეთ კიდევ, არა მტკივაო.

მეექვსემ ზუგრი შემოაქცია და იქიდან დაუძახა: მე მდივანი მქვიანო-

ხარ-ბაყაყმა უპასუხა: მწერალი ჩემი თავიც მეჯავრებაო. ამ დროს დაინახა, რომ ერთ კაცს, უზარმაზარი ტვირთი აუკიდია და ყანაში მიაქვს. ხარ-ბაყაყმა იკითხა: ის ვიღა არის, წელში რომ წუდებაო. უპასუხეს: ეს ჩვენი მეკურტნეა,, რაც უნდა ავკიდოთ,—წამოიღებს; ეს ყანა მოლათ მაგან დახნა, მარა ლაპარაკი რომ ჩამოვარდება, ყველაფერს ჩვენ გვაწერს.

მაშინ ხარ-ბაყაყმა სთქვა: თქვენი ხომ გავიგე, ახლა ჩემიც მოისმინეთო. მე ხარ-ბაყაყი მქვიან. ისეთი მაგარი შუბლი მაქვს, ცული რომ დამკრთან, კანს ვერ გამიკაწრავთო.

იმათ უთხრეს: ეგ ყველა ჩვენგანის ღირსებას აღემატებაო. შენ მეტათ ძვირფასი კაცი ყოფილხარ. ამ ყანისთვის შეთვალყურეს ვეძებთ, მოდი და იკისრე ეს თანამდებობაო.

ხარ-ბაყაყი დარჩა მათთან მეთვალყურეთ. დიდათ კი არ იტკივებდა თავს. სიცხეში სულ ტყეში ეგდო და თუ სადმე დამპალი პანტა იყო, სანსლავდა. სადილვახშმათ ხან ლიხასთან მიდიოდა, ხან მეკურტნესთან, ჩაიზე კიკასაც ეწვეოდა. ლიხასთან კიკას ამაგებდა, კიკასთან ლიხას და ასე ორივე მადლობელი ყავდა და სუქდებოდა. ერთხელ ორივეს შემოსწყრა და გაჯავრებულმა ვითომ წასვლა დაპირა. მეკურტნემ რომ გიიგო თავი მოიკლა: როგორ შეიძლება გაშვება, მართლია არას აკეთებს, მარა მტრის თვალში მაინც მეთვალყურეა და რომ წავიდეს, ცა და ქვეყანა ჩვენ მოგვდგებაო. სხვები კი იმახდენ, ჯანდაბადი გზა ეჭიროს, ყანა თუ გაფუჭდება, ვითომც არ გვქონია, მაგის დარდსაც გავუძღებითო.

როგორც იქნა დააშოშმინეს მეკურტნე: ნუ გეშინიან, კეტიც რომ ურტყათ, არ წავიო.

ყანა საუცხოოთ აბიბინდა. მტერი და მოყვარე მის სანახავთ მოდიოდა და მის მუშაკებს ქებას ასხამდა.

ხარ-ბაყაყმა იკითხა: ყანა როგორ უნდა გავყოთო? მეკურტნემ უპასუხა: გაყოფა რა საჭიროა, საერთოთ იყოსო. ამის შემდეგ ხარ-ბაყაყმა ჩაიდვა გულში როგორმე მოეშორებინა მეკურტნე. გაუზიარა ეს აზრი სხვებს და ერთ მშვენიერ დღეს ხელფეხ გაკრული მეკურტნე შითრიეს ხარ-ბაყაყთან და თითონაც გარს შემოეხვენ.

რას მერჩითო? იკითხა მეკურტნემ.

შენ ყველაზე მეტს მუშაობდი, უთხრა ხარ-ბაყაყმა. მარა შენ შეგეძლო უფრო მეტი გემუშავნა. შენ საქმის სიყვარული გაკლდა; რომ ღრმათ გაყვარებოდა, თავიც უნდა შეგეწირა მისთვის. შენ კი დღეს ცოცხალი ხარ და არც კი აპირობ სიკვდილს! სად არის აქ თავგანწირვა?

— სრული ეშმარიტება ბრძანეთ. მიუგო მეკურტნემ. მარა ახლა რა გინდათ ჩემგან. მე არ ვიჩემებ თავის შეწირვა-გაწირვას, მიუხედავთ ამისა, თუ ვისმე აქვს აქ წილი, მეცა მაქვს.

— მართალია, გაქვს და ყველაზე მეტიც. უთხრეს სხვებმა. ამიტომ შენ განსაკუთრებულათ უნდა დაგასაჩუქროთ. აბა მეთვალყურეე, მოიგონე რაიმე საჩუქარი.

მეთვალყურე დაფიქრდა და აღფრთოვანებით სთქვა:

— როცა კაცს ამაგს უფასებენ, ის რაღა კაცია: უბრალო მომაკვდავია. ჩვენ კი მთავლე ვართ უკვდავი გავხადოთ ჩვენი მეკურტნე მომავალ თაობათა თვალში. მარა როგორ? დავადგათ თავზე ეკლის გვირგვინი და გაუშვათ აქედან კუდ-ამოძუებული. აი ეს იქნება საუკეთესო ჯილდო მაგისთვის.

ბევრი იძახა მეკურტნემ: ნუ მაჯილდოვებთ, ღირსი არ ვარ ასეთი წყალობისაო, მარა ვინ გაუგონებდა. სულ პანღურით გამოისტუმრეს იქიდან.

დარჩა მეთვალყურეს და მის ამხანაგებს მთელი ყანა. მეთვალყურემ მათაც უთხრა: ყანა უნდა გავყოთო. მათ უპასუხეს: რომ გავყოთ, ჩვენ ჩვენს ნა-

ფილს ვერ მოუვლით და სულ გავერანდება. რაკი არ იშლი, სულ შენი იყოს, ჩვენ კი მუშაობას არ დავამადლითო. ასე დაირჩინა ხარ ბაყაყმა მთელი ყანა. სხვებს ამუშავებს, მოსავალი კი თითონ მიაქვს. მოსავალი კი მთელ ქალაქს გაკვებავს.

გაუვარდა ხარ-ბაყაყს სახელი და სად გინდა, რომ მას არ იწვევდენ საუკეთესო ადგილებზე. ყველგან ხალისით მიდის, მარა ყანაზე მაინც ხელს არ იღებს. ეს ყანა საშვილიშვილოთ გადაეცემა მის ჩამომავლობას. ცხოვრობს ხარ-ბაყაყი ბედნიერათ და ლიტერატურა სულაც აღარ აგონდება. გუშინ მასთან ვიყავ და ძალიან ვიქეიფეთ.

ჭირი ხარ-ბაყაყს დავუტოვე
ლხინი თქვენ მოგიტანე.

ფოცხვერი.

ორი ეშმაკი

(სამტრედიისათვის)

— გამარჯობა მეგობარო! საიდან მოდიხარ?

— საქველმოქმედო საზ. გამ. სხდომას დავესწარი, ეს არის დავბრუნდი.

— ერთი გამგებინე გეთაყვა, როგორ მიდის საქმეები, ან რაში გამოიხატება მისი ქველმოქმედება?

— როგორ თუ რაში? ოოო! ის ბევრს, ძალიან ბევრ საქმეებს აკეთებს: იკრიბება გამგეობა ყოველ დანიშნულ დროს, შემოდის გამგეობაში სხვადასხვა შეკითხვა-შემოკითხვები, იწერება ვრცელი ოქმები და სხვა. პირველათ ამ საზოგადოებამ გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა დაბაში გავრცლებულ ციებ-ცხელებას და ამ მიზნით შეიძინა $11^1/_2$ კაპ. ქინაქინა. დღეს აქ მარტო ქათმებს თუ აცივებს, თორემ ადამიანები უზრუნველყოფილნი არიან. ამითაც არ განისაზღვრება მათი მოღვაწეობა. ამ დღეებში წაკითხვიდით გაზეთებში, რომ გამგეობას აღუძრავს ვისთანაც ჯერ არს შუამდგომლობა, რათა განთავისუფლებულ იქნან სამტრედიის დეპოდან ჯარში გასაწვევი მოლაშქრენი, შუამდგომლობა, როგორც ამბობენ დაუმაყოფილებიათ.

— არა ძმაო! როგორც სჩანს გამგეობაში მეტად ენერგიული და საქმის მოყვარული პირები სხვდან, თორემ, ასეთ დიდ ამაგს ვინ დასდებდა საზო გადოებას?

— დიახ, აქ უეჭველათ რამდენიმე დიდი თავი მუშაობს.

— კეთილი, მაგრამ, ერთი მითხარი, მამა-კაცები კიდევ ბევრი დარჩა სამტრედიაში?

— ცოტა, ძალიან ცოტა. სულ თითებზე ჩამოსთვლი.

— ალბათ ამან გამოიწვია ქალთა დიდი მოძრაობა დაბაში.

— არა, მეგობარო, „პოგრომს“ ორივე სქესის ბნელი ძალები ხელმძღვანელობდენ, მარტო ქალები რა შუაშია?

— მერე რა შედეგი მოყვა ამ დარბევას?

— ის, რომ დამნაშავენი თავისუფლათ დათავრეშობენ, ხოლო უდანაშაულო ქვრივ-ობლები კი პასუხის გებაში ყრიან მიცემული.

— ალბათ ვაპრებმა ისწავლეს ჭკუა.

ჭკუის სწავლის რა მოგახსენო და მუშტრის ტყავის გაძრობა უკეთ რომ ისწავლეს ცხადია.

— ეტყობა ჩვენი ქალები ძველ ტრადიციებს ღალატობენ.

— მე ვფიქრობ სწორედ ამან გამოიწვია გაზეთ „ბეგობრის“ ფურცლებზე ვიღაც „სელოს ძმის“ მოწოდება, რომელიც შემდეგ დარიგებას აძლევს ადგილობრივ გასათხოვარ ქალებს: „ჩემო დებო, ახალ გაზდა ქალებო, მოდით გონს, ნუ იცინით და მხიარულობთ, ნუ იკრიბებით ერთად და სადგურის ბაქანზე ნუ დასეირნობთ, ნუ იცვამთ „ოლოოლოლოს“ კაბას, რუსულად ნუ ლაპარაკობთ და კითხულობთ, განვითარდით ქართულად, რათა აღუზარდოთ ქართველებს, ნამდვილი ქართველი გმირებიო“.

— კი მაგრამ თვითონ რომ კლუბ-პრაეკტორებს აღარ შორდება დღე და ღამ.

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ეტყობა დიდი ტვინია.

— დიდი ტვინია მაშ. ჩვენი ვაპარ „მამულიშვილთა“ აგენტი გახლავსთ, ბესოსა და ისიდორ ივანიჩის თაყვანისმცემელი.

— ხა ხა ხა ხა! ისიდორ ივანიჩის ის რომ არის?

— კი მარა, ისიდორ ივანიჩს რა მოსვლია კაცო?

— რა?

— სამტრედიის ბნელი ძალების დამცველობა უკისრია როგორც ამბობენ.

— როგორ!

— როგორ და ცნობილი ფარნაოზი და ფილიპე პასუხის გებაში მიუციათ ხელის „ჭეუყისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის“ და სხვადასხვა დანაშაულობისათვის. ამ ნიადაგზე როგორც ამბობენ, მოღვაწეობდენ ეს ვაჟბატონები სხვადასხვა „კულტურულ“ დაწესებულებაში და განსაკუთრებით ადგილობრივ „კაფენიის“ წევრთა შორის. ეხლა როგორც ამბობენ გაბმულან მახეში და ისიდორ ივანიჩს უკისრნია მათი გამოხსნა.

— არა მჯერა ისიდორ ივანიჩმა, ამ დაბაში ცნობილმა „მამულიშვილმა“ ბნელი ძალების დაცვა იკისროს.

— ვინ იცის, იქნებ ბნელი ძალებიც საჭირონი არიან ქართველების ასაყვავებლად?

— თუ ეს მართალია, ისიდორ ივანიჩის მოღვაწეობის ფორმულიაში ესეც უთუოდ დიდი ასოებით იქნება შეტანილი, მაგრამ მე მაინც არ მჯერა...

— შენ მეგობარო, მართლა გულუბრიყვილო ყოფილხარ. ნახვამდის.

ალი.

ფოსტა

ბ. ერთს. წაიკითხეთ თქვენი დაქმა **„პარნასის მთა“**, რომელმაც ერთხელ კიდევ დაგვმტკიცა, თუ რა მცირე მანძილია აღნიშნულ მთასა და სარდაქტიო კალათას შუა.

შ-ნ. ბირონს. თქვენი ლექსის ერთი კუპლეტი ფრიად ორიგინალურია:

„მუზამ წიხლი შემთავაზა
და გადმოგვედ ყორამალა
და მაშინ მაგხდი რომ მგოსნობა
არ ეოფიდა ალა-ალა“.

თქვენ მუზა ამოგირჩევიათ ახირებული. უფალ მუზა წიხლს რადი იცემება.

ოთხი დღე მარხულოგისა

4 — **პარასკევი.** ეს დღე შეიძლება ოცნებაში გავატაროთ, ხვალ ხომ სახსნილო გვექნება!!

რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე. ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ., № 1.